

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის

პროგრამული დანართი

შესავალი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო ხდება 2019 წლიდან, 2020 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეიცვალა პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული.

პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მოცემულია ლაგოდეხის 2020 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოდგენილია მომავალ 4 წლზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2020 წელს. შემდგომ წლებში, ისევე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4,113.70	10,780.10	4,011.10	3,885.60	4,170.00	4,400.00
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,520.00	6,411.90	1,877.90	1,772.60	1,910.00	2,080.00
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	2,520.00	6,411.90	1,717.90	1,622.60	1,710.00	1,880.00
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	-	-	100	150	200	200
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	-	-	60			
02 02	წყლის სისტემების განვითარება	331.3	865.1	815.2	750	800	800
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	331.3	865.1	715.2	650	700	700
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	-	-	100	100	100	100
02 03	გარე განათება	701.8	772	645	690	710	760
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	-	-	95	90	110	110
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	701.8	772	550	600	600	650
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0	0	0	0	0	0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-	-	-			
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-			

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	346.4	90	73	73	100	110
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	346.4	90	-			
02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	-	-	3	3	10	20
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	-	-	50	50	60	60
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	-	-	-			
02 05 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	-	-	20	20	30	30
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა			600	600	650	650
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	214.2	1351.3				
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები		1289.8				

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2020 წლის აფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2021 წლებზე ათას ლარში		
	02 01 01		1717,9	6930,5		
პროგრამის განმახორციელებელი		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულეობით 				
მოსალოდნელი შედეგი		<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 				
	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება

მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკარი	1	გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურით მოსარგებლე მოსახლეობა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 60%	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 65%	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
	2	საგზაო ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს		საგზაო ინფრასტრუქტურის ნორმები დაცულია	0%	

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2021 წლებზე ათას ლარში
	02 01 02		100,0	650,0

პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
-----------------------------	---------------------------------

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით
----------------------------	--

მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა
--------------------	---

მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკარი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
		1	გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურით მოსარგებლე მოსახლეობა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 60%	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 65%	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები
2		საგზაო ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს		საგზაო ინფრასტრუქტურის ნორმები დაცულია	0%	

პროგრამის	კოდი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	2020 წლის აფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2021 წლებზე ათას ლარში
-----------	------	---	---------------------------------	---

დასახელება	02 02 01		715,2	2765,2		
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ჭაბურღილის, სათავე ნაგებობისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <ul style="list-style-type: none"> • წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მუდმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 100%	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
	2	სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს	სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია	სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია	0%	

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 02 02		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			100.0	400.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“				
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობაა „სერვის ცენტრისთვის“; იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს სასმელი წყლის მიწოდებით, საჭიროა „სერვის ცენტრის“ შესაბამისი ტექნიკით და სხვა და სხვა საჭირო მასალებით უზრუნველყოფა. დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალის დროულად სარეაბილიტაციოდ, საჭიროა: ფიტინგები, შესადუღებელი აპარატები, გენერატორები, პომპები, ფილტრები... ჭების მოსაწყობად - შესაბამისი რკინა ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა, მიმე ტექნიკა-ბულდოზერი, ტრაქტორი, უაზის ტიპის ავტომანქანა გადასაადგილებლად. სპეციალისტებისთვის საჭიროა სპეციალური აღჭურვილობა. ყოველდღიურად ხდება წყლის სათავე ნაგებობებზე შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა, შედუღება, ურდულების შეკეთება შეცვლა, იცლება ავზები, სუფთავდება და ივსება, ხდება გაბიძნული მილების გაწმენდა და სხვა.				
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	24 საათიანი სუფთა სასმელი წყლის მიწოდებით კმაყოფილი მოსახლეობა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა 75%	უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა 85%		ამინდი, მაგისტრალის მექანიკური დაზიანება
	2				

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 03 01		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			95.0	380.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, ქალაქის და მასში შემავალი თემების გარე განათების აღდგენა, განახლება და მოვლა-პატრონობა შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს საქმიანობაში. „სერვის ცენტრი“ არსებობის დღიდან მუნიციპალიტეტს ემსახურება ფიზიკურ პირებთან გაფორმებული თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე 2 სპეც მანქანით, რადგან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაბამისი ტრანსპორტი; შესასრულებელი სამუშაოებისათვის (ახალი სანათების დაყენება, არსებული დაზიანებული სანათების შეცვლა, დემონტაჟი და შეკეთებულების ხელახალი მონტაჟი, მასიური გათიშვებისა და დაზიანებების აღმოფხვრა და სიპების (კაბალი) გაჭიმვა, გამანაწილებელი კარადების შეკეთება და სხვა. საჭიროა 2 სპეც დანიშნულების მანქანის შეძენა, რათა დროულად მოხდეს გარე განათების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. „სერვის ცენტრის“ კომპეტენციაში შედის აგრეთვე საახალწლო ილუმინაციების, აქსესუარებისა და ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება, რომლისთვისაც ასევე აუცილებელია შესაბამისი ტრანსპორტი (ამწე კალათი).			

მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი, მოწყობილი გარე განათების სისტემა, განათებული მუნიციპალიტეტი, კმაყოფილი მოსახლეობა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	70%	90%		ამინდი, ტექნიკის დაზიანება

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში		
	02 05 02		შემდეგი 1 წელი	4 წელი	
			3.0	12.0	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა	ქალაქის სკვერში არსებული შადრევნის რეაბილიტაცია, მოწყობა და სხვა და სხვა სამუშაოები არის სერვის ცენტრის ერთ ერთი საქმიანობა. შადრენისთვის წყლის სისტემის მოწესრიგება, პომპის რეაბილიტაცია, აუზის ამოსუფთავება, შეღებვა და სხვა				
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1				ამინდი,
	2				

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა, პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 05 05		შემდეგი 1 წელი	4 წელი
			20.0	80.0
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი			
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და მასში შემავალი სოფლების სასაფლაოების მოვლა პატრონობა არის სერვის ცენტრის ერთ ერთი საქმიანობა. სასაფლაოების დაზიანებული ღობეების რეაბილიტაცია, ღებვა, ბალახის თიბვა, დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირებები, წამლები და ჰერბიციდების დასხმა, დასუფთავება, ნაგვის გატანა, ხედმეტი ამონაყარისგან ტერიტორიის გასუფთავება, რისთვისაც ცვეციალისტები იყენებენ სათიბ მანქანებს, ხეების საჭრელ დანადგარებს და სხვა.			
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული სასაფლაოები და კმაყოფილი მოსახლეობა			

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1				ამინდი,
	2				

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,311.80	1,395.00	1,163.70	1,250.00	1,430.00	1,527.00
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,311.80	1,395.00	1,063.70	1,150.00	1,330.00	1,427.00
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.00	0.00	100.00	100.00	100.00	100.00
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0	0	0			

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და გარემოს დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში	
			შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			1,063.7	4,254.8

<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“</p>				
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, რომლის დასუფთავებაც შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს კომპეტენციაში; დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება 3 მერსედესის ტიპის ნაგავზიდი, აქედან ერთი ქალაქს, 2 თემებში შემავალ სოფლებს, რომლებიც საკმარისი არ არის მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თემებში შემავალ სოფლებიდან ნარჩენების გატანისთვის. მუნიციპალიტეტის მერიამ სარგებლობის ფორმით გადმოსცა სერვის ცენტრს 340 პლასტმასის და 130 რკინის ნაგვის კონტეინერი, რომლებიც განთავსდა მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაგრამ არ არის საკმარისი რაოდენობის ნაგვის ურნა. ახალი ტიპის ნაგავზიდებში და ახალ ურნებში არ შეიძლება ყველა სახის ნარჩენის განთავსება, მყარი და სამშენებლო ნარჩენების გასატანად საჭიროა სხვა ტიპის მანქანები (მაგ. თვითმცლელი, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება ფოტონის ტიპის თვითმცლელი ერთი ერთეული.) და სპეციალური ურნები, რადგან საჭიროა პლასტმასისა და მინის განცალკევება და ცალკე ცალკე ურნებში განთავსება. ქუჩების გადასარეცხად საჭიროა სპეციალური გადამრეცხი მოწყობილობის მანქანები; საჭიროა მოწყობილობის აღნიშნული ნარჩენების განთავსება ცალკე პოლიგონზე. ასევე ყველა სოფელში არ არის მოწყობილი გზის საფარი, ახალი ტიპის ნაგავზიდების სამომრად. მოსახლეობის ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას ზ/აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობასთან; აგრეთვე საჭიროა ნაგავზიდებზე მომუშავე პერსონალის ცნობიერების ამაღლება . ყოველდღიურად ხდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზის გვერდულების დასუფთავება ხელით და სანიაღვრე არხების ამოსუფთავება, საჭიროა ნაგვის შემკრები ჯოხები და სპეციალური დანადგარები სანიაღვრე არხების ამოსაწმენდად; იჭრება და იწმინდება სანიაღვრე არხები , ხდება გრუნტის გატანა, ტერიტორიები იწმინდება ეკალ ბარდისაგან, , ეს სამუშაოები სრულდება ჯსზ ის ტიპის ბულდოზერებისა და კამაზების საშუალებით; აგრეთვე ხდება ყოველდღიურად ქალაქის ქუჩებისა და და სკვერების დაგვა დასუფთავება. სასაფლაოების დასუფთავება, მოვლა პატრონობა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არის წყალუხვი მდინარეები, რომლებსაც სჭირდება დროული გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, ამისთვის სერვის ცენტრი იყენებს კამაცუს ტიპის ბულდოზერს. სერვის ცენტრი ახორციელებს გზის მოხრეშვა გადასწორებას, გრეიდერის დახმარებით.</p>				
<p>მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დასუფთავებული , მოვლილი მუნიციპალიტეტი და კმაყოფილი მოსახლეობა</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</p>	<p>შესაძლო რისკი</p>
	<p>1</p>	<p>470 ნაგვის ურნა</p>	<p>700 ურნა</p>		
	<p>2</p>	<p>3 ნაგავზიდი</p>	<p>4 ნაგავზიდი</p>		
	<p>3</p>	<p>0 ქუჩების გადასარეცხი მანქანა</p>	<p>1 ქუჩების გადასარეცხი მანქანა</p>		
	<p>4</p>				

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში		
	03 02		შემდეგი 1 წელი		
			100.0	400.0	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. „ლაგოდების სერვის ცენტრი“				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა	ა.ა.ი.პ. ლაგოდების სერვის ცენტრი ახორციელებს როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი მწვანე ნარგავების და ყვავილების შესყიდვას. რომლებიც შემდეგ ირგვება ქალაქის სკვერებში, პარკებში, გაზონებზე და სხვა და სხვა ადგილებში. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში ხდება ახალი და არსებული ნარგავების მოვლა პატრონობა: ხდება ხეების შეთეთრება ჩამქრალი კირით, ხდება ნიადაგის სასუქით გამდიდრება, ნარგავები იწამლება სხვა და სხვა ფერბიციდებით, ხდება გაზონების მორწყვა, ხეების გადაბეღვები, ჭრა ვარჯის ფორმირება, ტერიტორიების თიბვა და სხვა.რისთვისაც სერვის ცენტრი იყენებს სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარებს: საჭრელებს, სათიბებს და სხვა.				
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ტერიტორიის 30% განაშენიანება	განაშენიანება 80%	2%	
	2				
	3				

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2,141.94	5,226.20	3,023.00	3,560.00	3,749.80	4,004.00
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,805.84	2,100.00	2,433.00	2,850.00	2,880.00	3,000.00
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	326.00	2,078.60	590.00	710.00	869.80	1,004.00
04 03	განათლების ღონისძიებები	10.1	1047.6	0			

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება		დაფინანსება ათას ლარებში		
	04 01			2019 წლის დაფინანსება	შემდეგი 4 წელი	
				2433,0	11163,0	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ზღვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1714-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 151 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბავშვებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბავშვებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1600-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 85%-ს შეადგენს</p>					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

	1	<p>ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტის დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი ალზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილი. აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის ალზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.</p>	<p>საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტები უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბავშვთა ცენტრებში. კერძოდ, სტანდარტის II და III ნაწილებით განსაზღვრულ კონტიგენტზე ბავშვების განვითარებასთან (ალზრდა-განათლების) ერთად მეტი ყურადღება ეთმობა თემატურ მიმართულებებზე მუშაობას, მათ შორის: ხელოვნებას, წიგნიერებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.</p>	<p>30% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას)</p>	
--	---	---	---	--	--	--

	2	<p>კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვებასთან ერთად 3 წახემსებას (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის („დილის“), მეორე სადილსა და ვახშამს შორის („შუადღის“), მესამე – ვახშმის შემდეგ).</p>	<p>გაუმჯობესებულია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს</p>	<p>10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და საადმინისტრაციულ პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შექმნას (ამაღლებას);</p>	<p>კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების სრულად დაცვისათვის საჭიროა მეტი მატერიალური და არამატერიალური რესურსი</p>
--	---	--	--	---	--	---

	3	<p>პროგრამის ხარისხის სტანდარტის დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ხარისხის სტანდარტი. კერძოდ, უსაფრთხოება და დაცულობა, კურიკულიუმი და მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, ურთიერთობა, საგანმანათლებლო პროცესი, ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.</p>	<p>საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის პროგრამის ხარისხის სტანდარტი უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგამაღებში. კერძოდ, ფიზიკური გარემო შექმნილია ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მკაფიოდაა გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების საჭიროების თუ სხვა შემთხვევებში. ბაგა-ბაღებს გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების მექანიზმები. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები. თითოეულ ბავშვს აქვს დასვენებისა და ძილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. დაწესებულებაში აღმზრდელ პედაგოგები ხელმძღვანელობენ თამაშზე დაფუძნებული კურიკულიუმით. გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის.</p>	<p>10% - დადგენილი სტანდარტები ახალი მიღებულია და სააღმზრდელო პერსონალი საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის შეძენას (ამაღლებას) და ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი რესურსები თ ალჭურვას.</p>	<p>პროგრამის ხარისხის სტანდარტის სრულად დაცვისათვის საჭიროა მეტი მატერიალური და არამატერიალური რესურსი</p>
--	---	---	--	--	---	--

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	920.55	1,538.30	1,184.60	1,225.00	1,310.00	1,440.00
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	709.30	1,284.30	159.70	160.00	205.00	280.00
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	709.30	941.20	159.70	160.00	205.00	280.00
05 01 02	კაპიტალური დაბანდები სპორტის სფეროში	0	343.1	0			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	169.25	194.00	961.50	1,000.00	1,035.00	1,080.00
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	0.00	0.00	767.50	800.00	830.00	870.00
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	169.25	194.00	194.00	200.00	205.00	210.00
05 02 03	კაპიტალური დაბანდები კულტურის სფეროში	0.00	0.00	0.00			
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	12.00	30.00	33.40	35.00	40.00	50.00
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30.00	30.00	30.00	30.00	30.00	30.00

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
			შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
	05 01 01		159,7	804,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი			
პროგრამის აღწერა	სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (224ბავშვი, გოგო 12, ბიჭი 212); ქართული ჭიდაობა (95 ბავშვი ბიჭები); ძიუდო (40 ბავშვი ბიჭები); ჭადრაკი (15 ბავშვი, გოგო-8 , ბიჭი-7); კალათბურთი (74 ბავშვი გოგო-19 ბიჭი 55). კრივი (35 ბავშვი გოგო-3, ბიჭი-32), ფრენბურთი (72 ბავშვი, გოგო-32 ბიჭი-41) ხელბურთი (25 ბავშვი გოგო-15, ბიჭი-20) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 580 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სამსახურის რესურსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შესაძლებელია გავზარდოთ ბავშვთა რაოდენობა და მეტი ბავშვი იყოს დაკავებული სპორტული ცხოვრებით. ასევე ჩვენი მიზანია მათი მშობლების დაინტერესება, რათა იყვნენ მეტად ჩართულები შვილების სპორტის მიმართულებით განვითარებაში, ამისათვის ვგეგმავთ პერმანენტულ შეხვედრებს მშობლებთან, მწვრთნელებთან და სკოლებთან. სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის			

	ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;					
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; გაზრდილი დაინტერესება და ბავშვების რაოდენობა, კმაყოფილი მოსახლეობა.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი 2019	მიზნობრივი მაჩვენებელი 2020	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ბენეფიციარი გოგონები	89	111	10%	დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი
		ბენეფიციარი ბიჭები	491	540	5%	დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი
2	ჩატარებული ღონისძიებები	33	35	5%	შემოსული არაგეგმიური ღონისძიებები	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			767,5	3267,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ ლაგოდების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი			
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, საქველმოქმედო აქციებს, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოუკიდებელი საღამოებს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას.			
